სასოფლო გაზეთი

პირველი წელიწადი

გაზეთის ფასი:

	Ტფილისში	Გაუგზავნელათ.
	გარეშე ადგილებში:	
		მან.
ოთის წლისა —	7 მან.	— 6
ხევრის წლისა —	4 —	— 3 — 50 კ.
მ.ს თვისა —	2 მ. 50 კ.	— 2 —

Гамодіс самшабатобітъ.

ხელის-მოწერა მიიღება:

Ტფილისის „სასოფლო გაზეთის“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კამ. სტამბაში, ხანის ქუჩაზედ, თ. ბებუთოვის სახლში, პოლიციის გვერდით.

Ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ контору редакціи „СЕЛЬСКОЙ ГАЗЕТЫ“, при типографіи Меликова и К-°.

Ყოველ გვარი განცხადებანი სასოფლო სასამართლოებისა და აგრეთვე გლეხებისა დაიბეჭდება უფასოთ, და უნდა გამოიგზავნოს გაზეთის კანტორაში, რომელიც იმყოფება Ტფილისში, მელიქიშვილის და კამ. სტამბაში.

№ 42. სამშაბათი. I. 17 დეკემბერს 1868 წ.

შინაარსი:

შინაური ამბები.—ყურის აგებულება.—ყუ-ის ავათმყოფობა. წითელა.—რუსეთის ამბე-ბი.—მესვეს რიგი.—საქონლის საჭმელი ბა-ლახები.—სხვა და სხვა ნაირი მერინოსები.—ფასელი:—სითბო.—ქერძოობითი განცხადება.

შინაური ცნობანი

სასოფლო სახლოსნობის შკოლის გამარ-თვა საქართველოში აგრეთვე დიდი საჭირო-�ის ახლა. რადგანაც მხარეში ძნელი საშო-ვნელნი არიან კარგათ მცოდნენი მებალო-ბისა, ღვინის დაყენებისა, თამბაქოს მოყვანი-სა და სხ., ამიტომ სხვა მხრიდგან მოჰყავთ ესენი; მაგრამ ბევრმა არც იცის მხარის ხასი-ათი და ვერცა რჩება აქ დიდს ხანსა. ხანდი-სხან ჰალალ ბედზე იწერენ სხვა მხრიდგან ამათა და ბოლოსა ჩნდება, რომ არა ფერი არ იციან.

მაგრამ როგორი შკოლა უნდა გაიმართოს სასოფლო სახლოსნობისა საქართველოში, და რა უნდა ასწავლონ იქა?

პროექტის ავტორის აზრით აქ უნდა გაი-მართოს იმ გვარი შკოლა, რომელშიაც შეი-ძლებოდეს მოემზადნენ კარგი მოურავები წვრილი და შუათანა სახლოსნობისათვისა; იმ გვარი შკოლა, რომელშიაც ასწავლიდნენ სასოფლო სახლოსნობას საერთოდ და გან-საკუთრებით იმ ნაწილებსა, რომელნიც უფ-რო გამოსადეგნი არიან ჩვენს მხარეში.

უფ. სიტოესკი არაფერს ამბობს დიდრონი სახლოსნობის მოურავებზედა და პრიკაზჩიკებ-ზედა. პირველნი უნდა იყვნენ საფუძვლია-ნად ნასწავლნი ხალხნი და ამასთან გამოცდ-ილნი. ამ გვარ ხალხს აქაურნი მემამულენ-ი არა თხოულობენ, რადგანაც აქ ცოტა არის კარგა მოწყობილი და დიდრონი სა-ხლოსნობანი; და თუნდა ითხოვონ კიდეცა შეიძლება ამათი გამოწერა რუსეთის შუა გუ-ბერნიიდგანა. კარგი პრიკაზჩიკები კი მალე გვეყოლებიან კრების სახლოსნობის სასწავ-ლებელიდგანა, მეტადრე მაშინ, თუ ამ სა-სწავლებელს მიეცემა უფრო მეტის სწავლის საშუალება.

პირველი მომზადება შესასვლელათ მაგდე-ნი არ უნდაო, ამბობს პროექტი; საკმაოა, რომ ყმაწვილმა იცოდეს კითხვა და წერა რუ-სულისა და ოთხი დასაწყისი მოქმედება არი-თმეტიკისა. უფ. სიტოესკი უფრო დიდს მნი-შვნელობას აძლევს ყმარწვილის წლოვანობა-სა და იმათ ტანის სიმაგრესა; ყმარწვილი 15-ს წელიწადზედ ქვეით არ უნდა მიიღონ შკოლაშიო. ბარდა ამისა უნდა იყვნენ ღო-ნიერნი და არაფერი სტკიოდეთ, რომ სახლო-სნობის მუშაობა კარგად აასრულონ.

ბადა სწავლისა, როგორც თეორეტიკული, აგრეთვე პრაკტიკული შკოლაში არის დანი-შნული სამი წელიწადი.

რაცკი შეეხება ადგილს, სად უნდა გაიმარ-თოს შკოლა: Ტფილისში, თუ სოფელში,— ამაზედ ავტორის აზრი ორად იყოფა. პირველ-ი აზრი, რომ შკოლის გამართვა სოფელში სჯობს, რადგანაც იქ იქნება შეგიდი შემო-ფარგლული მხოლოდ თავის სწავლის საგნე-ბითა და სწავლასაც საქმით გამოსცდის; მაგ-რამ მაშინ მოსწავლენი საკუთარნი უნდა იყოლიოს შკოლამა და ამაზედ დიდი ხარჯი უნდება. მეორე—Ტფილისში მასწავლებელნი საკუთარნი არ უნდათ, ამიტომ რომ მაშინ სხვა ადგილებში მასწავლებელთ მოიწვევდნენ და იმათ დაუნიშნავდნენ თითო უროკებზე რო-მელსამე ფასსა; ამასთან აქ კიდევ იმით ისარ-გებლებდნენ მოსწავლენი, რომ არიან გამა-რთულნი ბიბლიოთეკა, მუზეუმ და სხვ. სასა-რგებლო სწავლისათვის საგნები. მაგრამ ჩვე-ნის აზრით მაინც სოფელში სჯობია, ამიტომ რომ იქ გამოცდილს სწავლას მოიპოვებენ, რომელიც განსაკუთრებით არის საჭირო ჩვე-ნის მხრისათვისა.

ყურის აგებულება.

ყური იყოფა სამ ნაწილათ. ბარეგანი ყური, საშუალო ყური და შინაგანი ყური. ბარეგანს ყურს ეძახიან ყურის ბიბილოსა და ყურის შესავალსა თავის მი-ლით. ყურის მილის ბოლოზე გადაკრულია თხელი კანი, რომელსაც ეტყვიან ყურის დაირსა. ამას შემდეგ იწყება საშუალო ყური. ეს არის პატარა უჯრა ჰაერით გავსე-ბული. შიგ არის სამი პატარა ძვალი გაბმუ-ლი: ერთს ჰქვია კვერი, მეორეს ზინდა-ნი და მესამეს უზანგი. კვერის ერთი თა-ვი ყურის დაირზეა მიბჯენილი. საიდამ შესუ-ლა ჰაერი საშუალო ყურში? ყურის მილიდგან ვერ შევიდოდა, ამიტომ რომ თავი გადაკრუ-ლი აქვს დაირითა. აი საიდგან. საშუალო

ყურიდგან იწყება ერთი წვრილი მილი და გამოდის საყლაპავთან. ამ მილს ეძახიან ესტატეს მილსა. მაშასადამე ჰაერი პირიდგან ამ მილს გაჰყავს საშუალო ყურში. საშუალო ყურს იქით შინაგანი ყურია. ესენი ერთმანეთთან პატარა ძელის კედლით არიან გაყოფილნი და ამ კედელში ორი პატარა სარკმელია გამოჭრილი. ამ სარკმელზე თხელი კანია გაკრული. ერთს ფანჯარას ეტყვიან მოგძო ფანჯარასა და მეორეს ლოკოკინას ფანჯარასა. მოგძო ფანჯარაზე უზანგია მიბჯენილი. შინაგან ყურსა აქვს სამი შეილდური მილები და ერთი ლოკოკინასავით დახვეული ძელის მილი. იმიტომაც ეძახიან ამ მილს ყურის ლოკოკინას. ეს მილები წყლით არიან გაესებულნი და აქ ტვინიდგან წამოსულია სასმენელი ტვინის ძაფები ანუ სასმენელი ნერვები, რომელთაც გაჰყავთ ხმა ტვინში.

საიდგან წარმოსდგება ხმიანობა, და როგორ ეტყობულობთ ამას? ვის არა ჰჭერია ხელში ჩალის სტვირი. ამ სტვირს პატარა ენა აქვს და თუ სული არ ჩაბერე, უმისოთ არ მღერის. სულს რომ ჩაბერავ, სტვირის ენა დაიწყებს ძგერას და ამასთანავე ძგერს სტვირის კედლებიცა. აგრეთვე ძგერს ყოველი მაგარი ნივთი, როცა ერთმანეთზე მოხვდება; აგრეთვე ძგერს ჩვენი სასულეც; როდესაც ელაპარაკობთ და ჰაერი თან-და-თან ამოდის პირიდგან. მაგრამ სტვირის ძგერა, მაგარი ნივთისა, ან სასულეს ძგერა ხომ მარტო ამითი არ გათავდება. იმათ ძგერას მოჰყვება ჰაერის ძგერაცა და ერცელდება შორს იმისდაგვარათ, თუ რამდენათ ძლიერია თვითონ სტვირის ძგერა. ეს მძგერი ჰაერი შედის ყურშის და ანძრევს ყურის დაირსა, ყურის დაირი ანძრევს საშუალო ყურში გაბმულს ძელებსა, ეს ძელები ურაკუნებენ მოგძო სარკმელსა მოგძო სარკმელი შეანძრევს შინაგან ყურის წყალსა, სადაც სასმენელი ნერვებია, წყალთან ისინიც ანძრეევიან, ატყობინებენ ტვინსა და ამ სახით ჩვენ ვგრძნობთ ყოველ გვარს ხმიანობას, ანუ ვისმენთ ყოველს გვარს ხმასა. აქედგან სჩანს, რომ ყოველს ხმას აღძრავს ჰაერის ძგერა და ჰაერის ძგერა კი ყოველი ნივთის ძგერით ანუ ნძრევით წარმოსდგება.

ყურის ავათმყოფობა.

უფრო ხშირად ყურის ტკივილი ზნეს იტანს. თუ გარეგანი ზნეა, მაშინ ყურში შესავალი დასიედება, გაწითლდება და ცოტახანს შემდეგ წალი, ან ჩირქი იწყებს დენასა. თუმცა ის ხანდახან ძალიან სტკივა ხოლმე კაცს, მაგრამ გარეგანი ყურის ზნე, ისე საშიში არ არის, როგორც შინაგანი ყურისა. აი როგორ შეინიშნება შინაგანი ყურის ზნე: ატყდება, აუტანელი საშინელი ტკივილი, რომელსაც თან მოჰყვება თავის ტკივილი იმ გვერდზე, საითაც ყური სტკივა. ამასთანავე სიცხესაც მისცემს. ყელის შუაგულიც ასტკივდება; ხშირად ცივება თან მოჰყვება; თუ ძალიან გაძნელებულია ეს ავათმყოფობა, მაშინ ტვინშიაც აუვარდება და კაცი იწყებს ბოდვასა. ეს ტკივილი თავდება იმითი, რომ ყური დაჩირქიანდება. ყურის დაირის კანი გასკდება და ჩირქი გამოდის გარეთ ან მეორე მილით ჩადის პირში და ყელში.

როდესაც ყური ძალიან ზნეს იტანს, მაშინ სისხლს გაუშვებენ ხოლმე, ყურს უკან მოჰკიდებენ წურბლებსა, ფეხებს მდოგე ჩაყრილს ცხელ წყალში ჩააყოფინებენ. ბამგრილებელს სასმელს მოუმზადებენ, ასმევენ საფალარათო წამალსა; ავათმყოფმა კიდეც უნდა დაუთმოს; ჩაასხმენ ხოლმე ყურში თბილ რძესა, ან ყაყაჩოს წყალსა. და ამასთანავე ზედ უნდა დაადო დამრბილებელი მალამოები. ზოგჯერ ყურში ჩასასხმელათ ჰხმარობენ ზეთსა, მაგრამ მალე ფუჭდება და ამიტომაც არ ვარგა. თუ ძალიან ასტკივდა, შეიძლება ხაშხაშის წყალი ჩასხას ყურში კაცმა. აი, ეს წყალი როგორ კეთდება; ექვსი უნცია მალოქის წვენი და სამი გრანი ხაშხაშის ზეთი ერთად უნდა აურიო. არ უნდა დაივიწყოს კაცმა, რომ თუ შინაგანი ყურის ტკივილი ძალიან გაუძნელდა, საშიშია, და ამიტომაც მაშინვე ექიმს უნდა მიჰმართოს კაცმა. ძალიან ატკივების შემდეგ ყურიდგან იწყებს ჩირქი დენასა და ზოგჯერ ძალიან მყრალი ჩირქიც ჰსდის. თუ კაცი სატბურიანია, ან რაიმე გვარი სვირსვალა სჭირს, მაშინ უტკივილოთაც დაუწყებს ჩირქი ყურიდგან დენასა. ყურის ტკივილის სრულად მორჩენისათვის გარეგან წამლობასთან შიგნითაც უნდა უწამლოს კაცმა. თუ ტანი სვირსვალით დაზიანებულია, უნდა იხმაროს კაცმა სხვა და სხვა მცენარის წვენი; კიტრბალახას ფოთლები, წყლის წიწმატი რძიანას ფოთლები და გარეული ჟოლოს ფოთლები, თანასწორი ნაწილი უნდა აიღო და იმითი წვენი იხმარო; ამასთანავე [illegible] საფალარათო წამალიც უნდა დალევინო ხოლმე. თუ კაცი სატბურიანია, მაშინ ამ ავათმყოფობას უწამლებენ ხოლმე. უნდა ჩაასხ[illegible] ხოლმე ვარდის, ან ანწლის ყვავილის გადმონადენი, რომელსაც დაუმატებენ ოცს გრანს შაბს ერთ ბოთლ გადმონადენზე. მაგრამ არ უნდა დაივიწყოს კაცმა, რომ თუ წინათ ჩირქი ჰსდიოდა და უეცრად შესწყდა, შესაძლებელია ამან შეამთხვიოს კაცსა საშინელი თავისტკივილი ძირკვლები, თვალის ტკივილი და სხვ. ერთი გამოჩენილი ექიმი მოგვითხრობს, რომ ყმაწვილს ყურში ყელის ზეთი ჩაასხესო და თუმცა ჩირქის დენა მაშინვე შეწყდა, მაგრამ მალე აუტყდა საშინელი ყურის ტკივილიო. ამ შემთხვევაში ისევ ჩირქის გამოსადენათ ყურზე კან შემოცლილი თბილი პური უნდა დაადვა. მუშკი (აფთეაქში იკითხე) თუ დაადევ ყურს უკან, ტკივილებს განაქარევებს. ამისთანა ღონისძიება მაშინ უნდა იხმაროს კაცმა, როდესაც ჩირქის დენა შესწყდება და საშინელი თავის ტკივილი აუტყდება. როდესაც ჩირქის დენა შინაგან ყურის ტკივილს შემდეგ მოხდება, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ მახლობლათ მდებარე ძვლები ლპება. ამაზე დარწმუნდება კაცი მაშინ, როდესაც ჩირქს პატარა ძვლის ნამტვრევები გამოჰყვება, ან ყურს ახლოს გაკეთდება ნახვრეტი მუწუკისაგან. ამ შემთხვევაში ყურის ტკივილი ძალიან საშიშია და მაშინვე ექიმი უნდა მოიყვანოთ, ამიტომ რომ შესაძლებელია კაცი კიდეც გადაჰყვეს მალე ამ ტკივილსა.

დაყრუების მიზეზი ბევრია, ასე რომ მხოლოდ ყურის ექიმს შეუძლიან გამოიკვლიოს ეს სხვა და სხვა მიზეზები და ახმაროს იმის შესაფერი წამლები. თუ კაცი დიდი ხნიდგან არის დაყრუებული, მაშინ ყურის ექიმმა უნდა გაუკეთოს ოპერაცია, მაგრამ ძვირად მოგვხდარა, რომ ამისთანა ექიმობით დაყრუებულს ყური ახილებოდეს. აქ ვიტყვი რამდენსამე ნაირს სიყრუეს, რომელიცა შემთხვევით მოგვხდარა და რომელიცა უბრალო წამლობით მორჩება ხოლმე, მაგრამ რასაკვირველია დიდი ხნიდგან დაყრუებული კი არა. ამისთანა დაყრუება მოხდება ხოლმე გარეგანი ყურის შესავალში, ან ჩირქის დადენის გამო და ან ყურის წებო ბევრი მოგროვდება ხოლმე ყურში და გახმება, ან სიბერის

დროს და ან არ იწმენდენ ყურსა და იმის გამო. პირველ შემთხვევაში სიყრუეს სხვა წამლობა არა უნდარა გარდა იმისა, რაც ჩირქის დადენის დროს წამლობა მოვიხსენეთ ზემოთ. თუ ჩირქი დიდი ხანია, რაც ყურიდან ჰსდის, მაშინ იმას თან მოჰყვება მეორე გვარი სიყრუე და ამისთვის ყურიდგან უნდა ამოიღონ შავი მურკლი, რომელიც იმყოფება ყურის შესავალში; ჯერ პატარა ყურის ტუმბოთი ჩასხმენ თფილს წყალს და მერე პატარა მაშით ამოიღებენ შავს მურკლსა. არის სხვა გვარი სიყრუე, რომელიცა წარმოსდგება მძიმე ავათმყოფობისაგან; მაგალითად ცხელებისაგან, როდესაც კაცს ძალიან დაენძრევა ტვინის ძაფები, ანუ ნერვები. ის სიყრუე ვეღარ მორჩება, რომელიცა სიბერის დროს თითქოს თან-და-თან აეხილებაო. თუ სიყრუე ხმელი თიაქრისაგან არის, უკეთებენ ვანებსა, ან უბოლებენ ანწლის ყვავილის კომლსა, ისე რომ პატარა ძაბრით ეს კომლი ყურში შეივიდეს. თუ ამის მიზეზი ნერვების (ტვინის ძაფების) მოშლაა, მაშინ უფრო გამაჯავრებელს რასმეს ჰხმარობენ, რამდენიმე ეთერის წვეთს დაუმატებენ და ამას უბოლებენ. ბურნუთის ხმარებასაც ეურჩეენ. შინაგანი ყურისტკივილისაგან წარმომდგარს სიყრუესათვის საჭიროა ყურის ექიმის მოყვანა, რომ იმან განიხილოს დაწერილებით შინაგანი ყური და შეიტყოს ნამდვილი მიზეზი სიყრუისა.

თუ სიყრუეს მორჩენა არ გაეწყო, მაშინ ყურის ბუკი უნდა იყიდო.

ხშირად შეუნიშნავთ, რომ ყმაწვილები თამაშობის დროს იყრიან ყურში მარცვლებს, ბალის კურკებს და სხვ. ამათ შეუძლიანთ ასტეხონ საშიში ტკივილი ყურში და თავში. უნდა ეკადოთ ამოიღოთ, ვიდრე სიმსივნე ისე არ გადიდდება, რომ მარცვლის ამოღება შეუძლებელიღაა. თუ არა და მანამდის უნდა უცადოთ, ვიდრე სიმსივნე არ დაბალღმდება და გამონადენს ჩირქს მარცვალიც არ გამოჰყვება. სიმსივნის დროს ხმარობენ მალამოებსა და ჩასხმენ ყურში. ყოველთვის არ არის ადვილი მარცვლის ამოღება. იმის ამოსაღებათ უნდა იხმაროს კაცმა ზეთში ამოვლებული ყურის კოვზი, რომელსაც ჩაჰყოფენ ყურის შესავალში და ცდილობენ გვერდებზე გაკრან კოვზი, რომ მარცვალი უფრო შიგნით არ შეაგდონ. თუ ამ კოვზით ვერ ამოიღეს, მაშინ ამოიღებენ მაშით, ან პატარა კვითა. თუ რწყილი ან სხვა რაიმე ბუზი შეძვრა ყურში, უნდა ჩაასხა ზეთი, რომ მწერი მოკვდეს და შემდეგ კი თავისით გამოვარდება.

წ ი თ ე ლ ა

ეს ავათმყოფობა გამოჩნდება კაცს ოთხი დღის წინათ ცრემლის დენით, თვალები ეწვის, ხშირად ცხვირს აცემინებს, ახველებს და აცივებს. ეს ნიშნები თანდა თან მატულობს და ბოლოს დაჰყრის წითლად. წითელა თავდება მერვე დღეს იმ დღიდგან დაწყობილი, როცა დაჰყარა. წითელა გადამდებია. ზოგჯერ ადვილათ გაიელის და ზოგჯერ კი მომაკვდინებელია. როდესაც წითელა გაძნელებულია, ამას თან მოჰყვება ყბა-ყურა და ცუდი ხუნაგი.

უფრო ხშირად წითელა სტოვებს ავათმყოფობას ტანში განსაკუთრებით იმ ყმაწვილებისათვის, რომელნიცა არიან სუსტი აგებულებისა და ჭლერქზე ახლოს არიან.

თუმცა წითელა უფრო ხშირად ყმაწვილებს ემართება, მაგრამ თუ მოუხდენლნი არიან, დიდებსაც შეეყრება ხოლმე. თუ, წითელას სხვა ავათმყოფობა არა მოსდევსრა, მაშინ უნდა გაუფრთხილდეს კაცი გაცივებასა, იყოს თბილათ საწოლში და სვას წალაიანი თბილი სასმელი, [illegible] წითელი ყაყაჩოს დაშაქრული გადმონადული. თუ ყელჭირება გაძლიერებულიაქეს, მაშინ სისხლი უნდა გაუშვა. იგივე საშუალება უნდა იხმაროს კაცმა ტვინის ანთებაში, ან ფილტვის ანთებაში, რომელიც ხშირად მოსდის ხოლმე კაცს წითელაზე.

მორჩენის დროს ავათმყოფი თბილათ უნდა ამყოფო და განსაკუთრებით ყურადღება უნდა მიაქციო წითელას შემდეგ დატოვებულს ხველებასა; იმის მოსარჩენად უნდა ასვა ტკბილი საფაღარათო წამალი და ხელზედაც მუშკი (აფთიაკში იკითხე) უნდა დაკრა.

რუსეთის ამბები.

ალესანდროვის უეზდში სახალხო განათლების წარმატება. პეტერბურგის უწყებებში დაბეჭდილია ბარონ ძორფის პასუხისგება შესახებ სახალხო შკოლების გამართვისა ალექსანდროვის უეზდში; იქიდგან სჩანს, რომ ალექსანდროვის უეზდის სამოსწავლო რჩევა ძალიან სწუხს, რომ სახალხოგანათლება 1867 წელს ძალიან ცუდს მდგომარეობაში იყოო. ბევრს სოფლებში ეგონათ, რომ შკოლები არიან გახსნილიო, მაგრამ მხოლოდ ქაღალდზე დაუწერიათ არისო, თორემ ნადვილათ კი არსად გაუხსნიათო. თურმე შეუძლებელი იყო შკოლის გახსნა სადმე, რადგანაც არც სახლი ჰქონდათ, არც მასწავლებელი ჰყვანდა და არც წიგნები ეშოვებოდათ. ნახევარს უეზდში ოთხი ღარიბის შკოლის მეტი არ გამოჩნდა. ამ წლის გასულს სამოსწავლო რჩევის და შკოლის მზრუნველების მადლობით საზოგადოებამ გადასდვა ფული ორმოცდა შვიდი შკოლის გასამართავათ და იმათ შორის ოცდა ერთი შკოლაც ვეღარ გაუხსნიათ მხოლოდ იმისთვის რომ მასწავლებელნი ვერ იშოვნეს. ამ სახით 1868 წლის განმავალობაში შკოლების რიცხვი ექვსჯერ მეტი იყო და სულ ოცდა ცხრა პირველ დაწყებითს შკოლაში იყო სწავლა გამართული. მაგრამ მცხოვრებლების რიცხვი რომ შევადარეთ ამ შკოლებს, მაინც გამოდის, რომ შკოლები ჯერ კიდევ ძალიან ცოტანი [illegible]ან.

ს ა რ ა ტ ო ვ ი ს ხ ა ზ ი ნ ი ს გ ა ტ ე ხ ა. რუსულს უწყებებში [illegible] რომ იქ თხუთმეტს ნოემბერს საგუბერნიო [illegible] ეთ სესხის ბილეთები ორი ათას ექვსას სამოცდა თხუთმეტი თუმნისა. იმავ წამს შეიტყვეს ხაზინის გატეხა და ყველას უკვირდა იმ სახით როგორ გაბედა ქურდმა მოპარვაო. როდესაც მოსამსახურე კაცები ჯერ კიდევ არ გამოსულიყვნენ სამსახურიდგან შუადღის უკან ორ საათზე, ყარაული იქვე სამ ნაბიჯზე იდგა, რომ ქურდმა ბილეთები გამოიტანა. ყარაულმა შენიშნა, რომ ეინღაც შევიდა ხაზინის საუნჯეში, გაიღო ზანდუკი, ამოიღო ერთი მუჭა ბილეთები და მსწრაფლად გამოვიდა იქიდგან. სჩანს, რომ ქურდს ძალიან კარგათ სცოდნია ხაზინის გამგეობის წესი. ზანდუკთან ნახეს ერთი კანცელარიის ჩინოვნიკის პალტოს ღილი, მაგრამ ამით კიდევ არ შეიძლება შემჩნევა, რადგან შესაძლებელია, რომ ქურდმა განზრახვით მოისხა იმ ჩინოვნიკის პალტო. ეს ჩინოვნიკი მაშინვე დაიჭირეს. იმის სადგომი და სხვა მოსამსახურეების სადგომები სასტიკათ დაჩხრიკეს. ბამომძიებელი კამისია დიდი სიმხნით ჩაუდგა კვალში ქურდსა, მაგრამ ჯერ კი ვერაფერი შეუტყვიათ.

რიგი თესვისა.

ყველა მცენარესა სთესავენ რიგით. ზოგჯერ ხანგამოშვებით სთესავენ რომელსამე თესლსა ერთს მიწაზე. თუ თესლს უცელიან მიწასა და ყოველ წელიწადს მოჰყავთ ერთ მიწაზედ, მაშინ ამას ეძახიან თესლცელილის რიგსა, და თუ მიწას ასევენებენ, მაშინ ეძახიან ხანგამოშვებულს რიგსა. ზოგჯერ ორ წელიწადში ერთხელა ხვნენ და მეორედ ასევენებენ; ასე რომ თერამეტი დღიურიდგან წელიწადში ცხრა დღიური მოცდენილი არის.

რუსეთში ამ თესვის რიგს ახმარენენ გაზაფხულის თესლებისათვისა, ე. ი. რომელნიც გაზაფხულზე ითესებიან. ეს მცენარენი არიან შვრია, სელი, უგრეხელა, ქერი და სხ. შემოდგომის თესლისათვის წელ გამოშვებული რიგი თესვისა ვერ ვარგობს, ამიტომ რომ საკმაოდ ვერ იბრუნებს მიწა სინოყიერესა შემოდგომის თესლისათვის. მაგრამ ეს რიგი ამით არის კარგი, რომ მაშინ ძალიან ცოტა სასუქსა თხოულობს მიწა; მაგრამ მიწის ნახევარი ყოველ მეორე წელიწადს რომ ცარიელი რჩება,—ეს კი ვერ არის სასარგებლო.

რუსეთში არის კიდევ ერთი რიგი თესვისა, [illegible] თერსა ჰყოფენ სამ ნაწილად. აქედგან ორი წილი დათესილია ყოველწელსა და მესამედი გამოეთესილია, ესუ რომ თერამეტი დღიურიდგან თორმეტი იხვნება და ითესება ყოველ წელსა და ექვსი გაშვებულია. ეს რიგი შეგვიძლიან წარმოვიდგინოთ ასე: ვსთქვათ პირველს წელიწადს დასთესეს ერთს ნაწილში შემოდგომის თესლი (ხორბალი), მეორე ნაწილში სთესენ გაზაფხულის თესლსა (ახალი თესლი) და მესამეს ასევენებენ. მეორე წელს საცა შემოდგომის ჯეჯილი იყო, იქ გაზაფხულისასა სთესენ; საცა გაზაფხულისა იყო, იმ მიწას ასევენებენ, და რომელიც შესევენებული იყო, იმაში შემოდგომისასა. მესამე წელიწადს საცა პირველში შემოდგომისა ეთესა, იმ მიწას ასევენებენ; საცა პირველში გაზაფხულისა ეთესა, იქ შემოდგომისასა სთესენ და რომელიც პირველში (პირველს წელიწადს) შესევენებული იყო, იქ გაზაფხულისასა სთესენ.

არც ეს რიგი თესვისა არის სასარგებლო. პირველად იმიტომ რომ მაშინ მესამედი მიწისა რჩება უქმად და არაფერი სარგებლობა არ მოაქვს; და მეორეც ისა, რომ არ ადის სამყოფი მასალა, რომ მიწას ისევ დაუბრუნდეს თავისი უწინდელი სინოყიერე. ამ რიგის ხმარება შეიძლება მხოლოდ მა'მინ, როდესაც დიდი სათიბებიცა აქვსთ და საქონელსაც ინახავენ, რომ საქონლის ნეხვით დაუბრუნონ მიწას სინოყიერე.

ყოველი მცენარე მიწას ართმევს სინოყიერესა, ანუ ართმევს ღონესა. ბაბსტმა გამოიკვლია, რომ შემოდგომის თესლი, ხორბალი, დიკა და სხ. ართმევენ მიწას ამოდენს სინოყიერესა, რომ უწინდელი ღონის დასაბრუნებლად ერთ დღიურზე უნდა ეიხმაროთ სამასიდგან ოთხას ფუთამდე ნეხვი; შვრია და სხ. ისე, რომ უნდა ეიხმაროთ ორასიდგან ორას ორმოცდა ათი ფუთი. მაგრამ მუხუდო, და სხვა პტყელფოთოლა მცენარენი, რომელნიცა ცხოვრობენ ბევრის წილით ჰაერის ანგარიშით (ხარჯით), ესენი მიწას მაგდენად ღონეს არ ართმევენ და ამასთან ამათ იმოდენი მასალაც ასდით, რომ მიწას კარგა ასუქებს. ერთი წლოვანი საქონლის საკვები ბალახები, რომელსაც სძოვს საქონელი, მიწას ისე ასუქებს, რომ ოთხას ფუთს სასუქს ეთანასწორება. იონჯა, რომელიც სამ წელიწადზე მეტს ითიბება და ბევრის ხნის შესვენება ასუქებს მიწას იმოდენად, როგორც სამასიდგან ხუთასი ფუთი სასუქი გაასუქებდა.

ზოგჯერ სახნავს უშვებენ საძოვრად და ამას ეძახიან საძოვარი ბარეულ რიგად. მაგალითებრ ამ გვარი თესვის რიგი შეიძლება წარმოვიდგინოთ ასე.

საქონლის საჭმელი ბალახები.

წითელი სამყურა (ალაეერდა), რომელიც მინდვრებზე მოდის, ძალიან კარგი საჭმელი არის საქონლისათვისა. ამასთან ღიღურზე ითიბება ას ორმოცდა ათ ფუთამდე გამხმარი სამყურის თივა. მიწასაც არა ღლის; ასუქებს და უფრო ანოყიერებს კიდეცა. მოთიბის შემდეგ სამყურას ქვეშ კარგი რბილი მიწა რჩება. შამბსაცა სწყვეტავს. ამ გვარი სიკეთე სამყურის თესვისაგან შეიძლება იხსნას ამით, რომ სამყურის ძირკვები ღრმად ჩადიან მიწაში და შიგნიდგან ამოაქვსთ ზეითი ის ნაწილები, რომელნიც ზეითა პირს უჭირს და რომელსაც ვერა სწვდებიან ყანის ძირკვები; გარდა ამისა ამისი მოყვანა მიწისათვის იმიტომ არის კარგი, რომ ჩქარა და ხშირად იზდება, მიწასა ჰფარავს სიცხისაგან, რომელიც ამისგამო არა შრება და არც მაგრდება; რადგანაც სხვა ბალახზე სამყურა უფრო ჩქარა იყრის ტანსა, ამიტომ შამბსა სჩაგრავს და აღარ უშვებს ზეითა. სამფოთოლა გარდა ამისა მიწაში უშვებს ბევრ ძირკვებსა, რომელნიც მერე ლპებიან და ასუქებენ მიწასა.

სამფოთოლას მაგარი ალაგი უფრო უყვარს, ვიდრე რბილი და ამასთან ჰავაც ნოტიანი უყვარს; ყველ მიწაზედ, მეტადრე სადაც წყალი დგება, იქ სულობით არ მოდის. ხმელს ჰავაში სამფოთოლა ბლომად ვერ ითიბება. მაგრამ თუ მიწა იმისთანა არის, რომ

წელიწადი.	1 ნაწილი მინდვრისა.	2 ნაწილი.	3. ნაწილი.	4 ნაწილი.	5 ნაწილი.
1.	შემოდგომისა იონჯით გასუქებული.	იონჯა.	იონჯა.	ქარტოფილი.	ბაზაფხულისა.
2.	იონჯა.	იონჯა.	ქარტოფილი.	ბაზაფხულისა.	შემოდგომისა იონჯით გასუქებული.
3.	იონჯა.	ქარტოფილი.	ბაზაფხულისა.	შემოდგომისა იონჯით გასუქებული.	იონჯა.
4.	ქარტოფილი.	ბაზაფხულისა.	შემოდგომის იონჯით გასუქებული.	იონჯა.	იონჯა.
5.	ბაზაფხულისა.	შემოდგომისა იონჯით გასუქებული.	იონჯა.	იონჯა.	ქარტოფილი.

ამ თესვის რიგით მიწა არ მოიღლება; გარდა ამისა იონჯა კარგ სარგებლობას აძლევს: ჯერ მიწაში უშვებს ძირკვებსა, რომელიც მიწას ასუქებს, და თივასაც ძალიან ნოყიერს და ბევრ გამოსაველიანს აძლევს. ქარტოფილიც საქონლისათვის ბევრს საჭმელს იძლევა. ამასთან უნდა შევნიშნოთ, რომ გაზაფხულის სათესლედ შეუძლიანთ იხმარონ სისირი, ლობიო, დიკა და სხვა; ეს მიწის პატრონზედა ჰკიდია.

სისველეს ინახავს, მაშინ შეიძლება მშრალ ავაშიაც კარგი მოსავალი მოვიდეს. ესეც ᲰᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ, რომ რბილ მიწაზე დასთესონ სამ-ფოთოლა, თუ ᲰᲐᲕᲐ ᲜᲔᲡᲢᲘᲐᲜᲘ ᲐᲠᲘᲡ. Სამფოთოლა ყოველთვის თხოულობს სქელს, ღონიერს მიწასა, ანუ გასუქებულსა; სასუქში რომ ცოტა კირი ერიოს, კარგია.

Სამყურის ქვეშ მიწას იმ გვარადვე ამზადებენ, როგორც სულადისათვის. Თესლი ძალიან ადრე უნდა დათესოს, ასე რომ ჯერ ისევ თოველის სისველე იყოს. Ამისათვის არჩევენ ღრუბლიან დღესა და თანასწორედ ᲰᲧᲠᲘᲐᲜ ᲐᲥᲔᲗᲐ და ᲘᲥᲘᲗᲐ. Ერთი დღის ნახნავს ᲰᲧᲝᲤᲜᲘᲡ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘ ᲤᲮᲣᲗᲘ სამყურის თესლი.

Პირველად ᲰᲡᲗᲘᲑᲐᲕᲔᲗ სამყურას მაშინ, როდესაც ზეითა თავები დაიწყებენ აყვავებასა. ᲔᲡ არის ᲛᲐᲘᲡᲨᲘ ანუ თიბათვის პირველში. Სამყურის გასათიბავად არჩევენ მშრალს დროსა. მოთიბული რჩება მინდორზედ იქამდე, მანამ ზეით პირი კარგა არ შეჭკნება; მერე აბრუნებენ, რომ მეორე გვერდი გახმეს. Ამის შემდეგ აგროვებენ ბულელებად, რომელსაც აქეს სამ არშინ ნახევარი სიგანე და შვიდი არშინი სიმაღლე. Როდესაც ბულულები დასხდებიან და შუაგული გაუხურდებათ, მაშინ გადაწყობენ სხვა ადგილსა და ამასთან შეკუმშულს თივას გაცალკევებენ ფიწლითა. Ამ მეორე ბულულებში თივა სამოფად ხმება, ასე რომ მერე შეიძლება ძირებად დაწყონ. Წვიმიანი ამინდის შემთხვევაში თივა დიდხანს არ წახდება, მხოლოდ ყოველთვის, როცა კარგი დარი იყოს, უნდა თივა გაშალონ, ასე რომ ნიავმა გაუაროს. მერე როცა კარგა გახმეს, მაშინვე უნდა ძირებად დაწყონ. Სამყურის სიხმელის ნიშანი ის არის, როდესაც იმისი ღერო იმტვრევა.

Მეორედ თივა სამყურისა არის მარიამობის თვეში და თუ კარგი ამინდი არის, მაშინ ამაზედაც ადრე. Მეორედ გათიბულსაც თივისათვის ახმარებენ, მხოლოდ მაშინ ჩარდახში უნდა შეინახონ თივა და შიგ ხმელი ნამჯა უნდა აურიონ, რომ სინესტე სამყურისა ნამჯამ გიიტანოს. Ამითი სამყურის თივა კარგად ინახება და არცა ხდება.

Მესამე თიბა არის ღვინობისთვეში, მაგრამ მაშინდელს მოთიბულს სულ მწვანედ აᲰᲛᲔᲕᲔᲜ საქონელსა.

Სათესლედ სამყურა უნდა მოსთიბონ მაშინ, როდესაც ყვავილიდგან გამოველენ და როდესაც თესლი შემოუვათ; ეს უნდა გაახმონ, და გაფშვნიტონ და გაანიავონ. Მაშინ ადის ძალიან ცოტა თესლი. შეიძლება გაუფშვნეტელი თესლიც დასთესონ, მაგრამ მაშინ უნდა ორი ზომა დასთესონ, ვიდრე გაფშვნეტილი თესლი. Თესლის გაფშვნეტისათვის უნდა მოსᲬᲠᲐᲜ თავები, მერე გაღეწონ რამდენიმე ჯერა, ვიდრე წმინდა თესლი არ დარჩეს. Ღლიურისაგან გამოდის თორმეტიდგან თხუთმეტ ფუთამდე სამყურის თესლი. Კარგი სამყურის თესლი მოთეთრო არის და უნდა პᲬᲙᲘᲜᲐᲕᲓᲔᲡ, წითელის ზოლებითა; მუქი და უბეწო თესლი დასათესად არ ვარგა.

Თეთრი სამყურა შეიძლება დასთესონ უფრო ცუდს მიწაზედ, ვიდრე წითელი სამყურა. Ეს ადგილი შეიძლება იყოს უფრო ცივი, სველი, არ იყოს ნოყიერი. Ეს სამყურა ამიტომაც წვრილი იზდება და არც ისე მაღალია, რომ შეიძლებოდეს იმისი მოთიბვა. Თეთრს სამყურას სთესენ საძოვრებისათვის, და ამით არის კარგი, რომ მალმალ იზდება ᲬᲘᲗᲔᲚᲘᲡᲐᲓ და ყველა საქონელიც კარგა სᲫᲝᲕᲡ. Ამიტომაც ხანდის-ხან თუმცა რომელიმე ადგილს წითელი სამყურა კარგა მოდის და სხვა ბალახებიც ითიბება, იქ სთესენ თეთრ სამყურასა, რომ კარგი საძოვარი იყოს.

Თეთრს სამყურას იმ გვარადვე სთესენ, როგორც წითელსა, მხოლოთ თეთრის თესლი უფრო ცოტა უნდა: ერთი დღიურისათვის საკმაო არის თორმეტი გირვანქიდგან ხუთმეტ გირვანქამდე.

Ერთხელ დათესილი თეთრი, ანუ წითელი სამყურა სამს, ოთხს წელიწად კარგა მოდის, მეტადრე თუ გაზაფხულობით ფარცხით გაუელიან. მეორედ დათესვა სამყურისა იმავე მიწაზედ ექვს წელიწადზე ადრე არ იქნება, და თუ ცხრა წლის შემდეგ იქნება—ეს უკეთესი.

Წელიწადი.	Პირველი ნაწილი მინდვრისა.	2 ნაწილი მინდვრისა.	3 ნაწილი მინდვრისა.	4 ნაწილი მინდვრისა.	5 ნაწილი მინდვრისა.	6 ნაწილი მინდვრისა.	7 ნაწილი მინდვრისა.
1.	შემოდგომისა გასუბულიბალახითა.	Საძოვარი.	Საძოვარი.	Საძოვარი.	Სელი.	Ქარტოფილი ნახევრის სასუქითა.	Გაზაფხულისა.
2.	Საძოვარი.	Საძოვარი.	Საძოვარი.	Სელი.	Გაზაფხულისა.	Ქარტოფილი ნახევარის სასუქითა.	შემოდგომისა გასუქებული ბალახითა.
3.	Საძოვარი.	Საძოვარი.	Სელი.	Ქარტოფილი ნახევრის სასუქითა.	Გაზაფხულისა.	შემოდგომისა გასუქებული ბალახითა.	Საძოვარი.
4.	Საძოვარი.	Სელი.	Ქარტოფილი ნახევრის სასუქითა.	Გაზაფხულისა.	შემოდგომისა გასუქებული ბალახითა.	Საძოვარი.	Საძოვარი.
5.	Სელი.	Ქარტოფილი ნახევრის სასუქითა.	Გაზაფხულისა.	შემოდგომისა გასუქებული ბალახითა.	Საძოვარი.	Საძოვარი.	Საძოვარი.
6.	Ქარტოფილი ნახევრის სასუქითა.	Გაზაფხულისა.	შემოდგომისა გასუქებული ბალახითა.	Საძოვარი.	Საძოვარი.	Საძოვარი.	Სელი.
7.	Გაზაფხულისა.	შემოდგომისა გასუქებული ბალახითა.	Საძოვარი.	Საძოვარი.	Საძოვარი.	Სელი.	Ქართოფილი ნახევრის სასუქითა.

Აქ სელის მოყვანა სრულებით არ აᲔᲜᲔᲑᲡ მიწის სინოყიერესა, ამიტომ, რომ საძოვრის დროს მიწა კარგა ღონიერდება; კარტოფილი ხომ უფრო უმატებს მიწას ძალასა.

ᲮᲐᲜ მიწას ოთხ ნაწილად ᲰᲧᲝᲤᲔᲜ და ნაწილს ყამირად აგდებენ რამდენიმე წელიწადსა, ᲮᲐᲜ სამსა, ᲮᲐᲜ ᲮᲣᲗᲡᲐ. Აი მაგალითი ამ თესვის რიგისა:

წელიწადი.	1 წელიწადი მიდერისა.	2 ნაწილი მინდერისა.	3 ნაწილი.	4 ნაწილი.
1.	შემოდგომისა.	გაზაფხულისა.	ნაწერალი.	უამირი.
2.	გაზაფხულისა.	ნაწერალი.	შემოდგომისა.	უამირი.
3.	ნაწერალი.	შემოდგომისა.	გაზაფხულისა.	უამირი.
4.	შემოდგომისა.	გაზაფხულისა.	უამირი.	უამირი.
5.	გაზაფხულისა.	ნაწერალი.	უამირი.	შემოდგომისა.
6.	ნაწერალი.	შემოდგომისა.	უამირი.	გაზაფხულისა.
7.	შემოდგომისა.	გაზაფხულისა.	უამირი.	უამირი.
8.	გაზაფხულისა.	ნაწერალი.	შემოდგომისა.	უამირი.
9.	ნაწერალი.	შემოდგომისა.	გაზაფხულისა.	უამირი.
10.	შემოდგომისა.	გაზაფხულისა.	უამირი.	უამირი.
11.	გაზაფხულისა.	ნაწერალი.	უამირი.	შემოდგომისა.
12.	ნაწერალი.	შემოდგომისა.	უამირი.	გაზაფხულისა.

ამ გვარი თესვის რიგში მიწა არამთუ ნაყოფიერობას არა ჰკარგავს, არამედ უფრო თანდითან ღონიერდება; ამიტომ რომ ყოველი ოთხის წლის შემდეგ ძალიან კარგი მოსავალი მოდის შემდგომისა და გაზაფხულის ნათესში. გარდა ამისა სასუქსაც სრულებით არა თხოულობს.

ბევრ თესლშეცვლილი თესვის რიგი არი 4, 5, 6, 7 და სხ. თესლშეცვლილი. ათამდინ კი კარგია თესლის ცვლა და მერე ალარ ვარგა. აი მაგალითი ხუთი თესლის შეცვლის რიგისა:

მრთი რიგიც სამყურისა არის იონჯა. იონჯა მოდის შუათანად ნოყიერს მიწაზედა, ნასუქზედაც და ქვიშიანზედაც. იონჯა შეიძლება დაითესოს შემოდგომობით და გაზაფხულობით; მაგრამ შემოდგომისას ის სარგებელი აქვს, რომ მეორე ზაფხულს კარგს თივის მოსავალს იძლევა. იონჯას სთიბავენ ყვავილისდროს, წელიწადში ორჯერ, სამჯერ და იღებენ კარგ ნოყიერს თივას დღიურიდგან სამას ფუთამდე. ერთ დღიურს თესლი გამოსდის ათი ფუთი. იონჯისათვისაც მიწას ამზადებენ ისე, როგორც ხორბლისათვის. თესვის წინ მიწას უელიან ფარცხითა და მერე თესვის შემდეგაც მსუბუქად ფარცხვენ, რომ თესლი დაიმალოს.

სხვა და სხვა ნაირი მერინოსები.

უველა მერინოსები ერთგვარი ცხერის მოდგმისანი არიან. უმთავრესი მერინოსები ორნაირია: ერთი მძიმეა, მეორე მჩატეა. მაგრამ გერმანელ მომშენებლებმა სხვა სახელები დაარქვეს; მჩატე მცხვარს ეძახიან ესკურიალის მოდგმისას და მძიმეს ინფანტიდას: ეს სახელები ორი განთქმული ისპანიის ფარეხიდგან გადმოუღიათ. საქსონიაში მჩატე მერინოსის მოდგმა ძალიან გაეკეთეს მატყლის სიწმინდით და უწოდეს სახელათ ელეკტორალი. რაიცა შეეხება მძიმე მერინოსის ცხვარსა, იმას განსაკუთრებით ავსტრიაში ეძახიან ინფანტადოს. რუსეთშიაც გადიღეს ეს სახელები.

განსაკუთრებითი თვისება ელეკტორალის ცხვრისა აი ამნაირია: სუსტი ძვლის ჩონჩხი, ფერდებ-მიკრული ტანი, მაღალი ფეხები და თხელი ტყავი. ამის გამო მატყლი ტანზე ძალიან თხლათ ასხია, ასე რომ ნეზი ცხვარი ორ გირვანქის მეტს არ აძლევს და ეერძი (ყოჩი) სამ გირვანქის მეტსა. ამასთანავე ელეკტორალის ცხვარს მუცელი ფეხები და თავი ტიტველი აქვს. ინფანტადო სულ სხვა თვისებისაა: ამ მოდგმის ცხვარსა მაგარი ძვლის ჩონჩხი აქვს, მოკლე ფეხები დამრგვალებული ტანი და სქელი ტყავი. ამ ცხვარს თავი ფეხები და მუცელი ბეწვით აქვს შემოსილი, მაგრამ მატყლი კი უფრო მსხვილია. ნეზი ცხვარი სამ გირვანქას აძლევს და ეერძი (ყოჩი) შვიდ გირვანქასა.

ეს ორ გვარი ცხვარი განსაკუთრებით ბერმანიაში მეტად განსხვავდა ერთმანერთთან, ამიტომ რომ ერთს ადგილზე ერთნაირს თვისებას აქცევდენ ყურადღებასა და მეორე ალაგას მეორე ნაირსა. ავსტრიაში განსაკუთრებით ჰსურდათ, რომ ცხვარი ყოფილიყო დიდი ტანისა და მატყლი სქლათ სხმოდა, ხოლო მატყლის სიწმინდესა და სინაზესა მაგდენათარ აქცევდნენ ყურადღებასა. მაგარი აგებულების ცხოველი, სქელ მატყლიანი უენებლათ იტანდა კარგათ შეუნახავობას და თითქმის მთელს ზაფხულსა გარეთ ატარებდნენ. საქსონიაში კი მატყლის სიფაქიზეს და სინაზეს უფრო აქცევდნენ ყურადღებასა, ხოლო ძვლ მაგარობა და სქელ მატყლიანობა ცხვრისა მაგდენათ არ მოსწონდათ.

ელეტორალურისა და ინფანტადოს ცხვრების განსხვავება ერთმანეთში უფრო სხვა და სხვა ნაირ მოვლაზე ჰკიდია. უველამ იცის, რომ ერთსა და იმავე ფარაში შეიძლება ერთი გვარის ცხვარიც იყოს და მეორე გვარისაც. ზოგია, რომ აგებულებით ერთ მოდგმის ეკუთვნის და მატყლით მეორე მოდგმასა. სადაც უფრო მატყლის სიწმინდავეს აქცევენ ყურადღებას, აქ ცხვრის ფარა უფრო ელეკტორალურს ჯიშს დაემგზავსება და სადაც მატყლის სიმსხვილეს აქცევენ ყურადღებას, იქ უფრო ინფანტადოს ჯიშის თვისებას მიიღებს ფარა. თუმცა ინფანტადოს ერთგვარი კარგი მატყლი არა აქვს, მაგრამ მაგიერათ ცუდს ჰავას და მოვლას ის უფრო იტანს. ორიეე ჯიშის ნაკლულევანება შეძლებისამებრ ჰქრება, როდესაც ელეკტორალურს მე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რინოსის ცხვარს დართვენ ინფანტადოს მერინოსის ჯიშსა. ელეკტორალის მერინოსის მატყლსა და ინფანტადოს გძელ მატყლიანსა.

1866 წელს პოლტავის იარმუკაზე ერთ ფუთ გარეცხილ მერინოსის მატყლში ოცდა სამს მანეთს აძლევდენ. აქედგან ცხადათ წარმოიდგენს ჩვენი სოფლის მეოჯახე, თუ რამდენათ სასარგებლოა მერინოსისი ჯიშის ცხვრის გაშენება. ამ მერინოსის ჯიშის მატყლისაგან კეთდება ყოველ გვარი მაუდი და წმინდა და სხვილი შალი საქონელი.

რუსეთში ცხვრის შენება ერთი უაღრესი საშუალებაა სიმდიდრისა. ამ სახით 1464 წელს რუსეთიდგან გაუტანიათ მატყლათ ცხრამეტი მილლიონი ოთხმოცი ათასი მანეთისა.

მატყლის საქონელი ორგვარათ კეთდება: ერთ, გვარია მოთელვა. ამ რიგათ კეთდება ყოველ ნაირი ნაბდები. მეორე გვარია დართვა მატყლისა ძაფად დამზადებულ ქსოვა ყოველ გვარი შალის საქონლისა და მაუდების ან წინდისჩხირებით, ან საფეიქროთი. მეორე გვარი მატყლეული საქონელი ორ ნაირია: ხაოიანი და უხაოიანო. ხაოიანს საქონელს საზოგადოთ ეტყვიან მაუდებსა; მოქსოვის შემდეგ მაუდებს გამოაღებინებენ ხაოსა, რომლითაც ისე უნდა მოეფინოს მოქსოვილი საქონელი, რომ ნაქსოვი ძაფები არა ჩნდეს. სამაუდე მატერიის უფრო გასამაგრებლათ მოქსოვის შემდეგ მოთელვენ ხოლმე. თუ ხაოიან ნაქსოვებს არც თელვენ და არც ხაოს გამოაღებინებენ ამ მატერიებზე ქსელის ძაფები ძალიან ცუდად სჩანს.

ამ საუკუნის დასაწყისში მომეტებულ ნაწილს მატყლს სულ მაუდებათ აკეთებდენ და უხაოიანო მატერიებს ძალიან ცოტას ამზადებენ, რადგან მაშინ ქსოვეს ძაფებს ხელით ითავდენ და ძალიან ძვირათ ჯდებოდა. შემდეგ მოიგონეს სართავი მაშინა და ამას შემდეგ წმინდა შალის საქონელის კეთებაც ძალიან გაერცელდა.

მ ე რ ი ნ ო ს ი ს ც ხ ვ რ ი ს გ ა შ ე ნ ე ბ ა მ ა ლ ო რ ო ს ი ა ში.

ამ საუკუნის დასაწყისში მერონოსის ჯიშის ცხვარი მოიყვანეს რუსეთში პირდაპირ სპანიიდგან, რომელიც არის თავდაპირველი ადგილსაყოფელი ამ ჯიშისა. შესახებ მერინოსის მოშენებისა არ რას ამბობს ფასსალი, რომელის პაპამაც პირველ გააშენა ამ მოდგმის ცხვარი ტაერიდის გუბერნიაში. „ჩვენი მერინოსის ფარა 1804 წლის აქეთ ისე წმინდათ შენახულია, რომ სხვა უბრალო ცხვრის ჯიში აქამდის არ გარეეიაო. ეს მერინოსები წმინდა ისპანიის მერინოსისაგან და საქსონიის დედალი ცხვრების შთამომავლობანი არიანო. ისე შეეჩვია ჩვენს ჰავას და მხარეს ამ მოდგმის ცხვრები, რომ აგებულებაც გაუმაგრდათ და ახლა აქაურ ცხვრებზედაც ნაკლები ყურის გდება სჭირდათო. და თანასწორ ყურის გდებაში მერინოსებზე ჩვენებური ცხვრები უფრო იზოცებიანო. ამ ორმოცი წლის წინათ ფასსალმა იფიქრა, კარგი იქნება, რომ ამ ჯიშს მოდგმა განუახლოთო და ამისთვის დაიბარა ბერმანიიდგან ასი დედალი და ასი ყოჩი, მაგრამ როცა მოიყვანეს, ცხადათ დარწმუნდა, რომ იმის ფარის მერინოსები საზღვარ გარეთიდგან მოყვანილებზე უარესები არიყვენენ. მას აქეთ აზრშიაც არ მოგდგის სისხლის გაუკეთესება საზღვარ—გარეთის მერინოსითა. შეჯობესი იქნებაო, რომ ვეცადოთ ჩვენი მერინოსის გაუმჯობესობა მატყლითა და აგებულებითა.“ იმავე წელს ესეე მომშენებელი ცხვრისა იწერებოდა: „ჩვენი ფასის მატყლს ეყიდით ამ ჟამად თუმცა ადრინდელზე უფრო იაფად, მაგრამ მაინც ბევრს სარგებლობას გვაძლევს ისა. ჩრდილოეთის მებატონეები მუდამ სჩივიან, რომ იმათი ცხვრის მატყლი არ იყიდებაო. რამიზეზია, რომ ეს ასე ჰხდება? ვგონ ბ ეს იმის ბრალია, რომ ბევრნი ამ მებატონეთაგანი ყურს უგდებენ ზოგი ერთს მატყუარა კაცების სიტყვებსა და ჩვენის ქვეყნის ჰაეს წინააღმდეგ უელიან და იმის გამო ვერ ხეირობენ. ვინმე საქსონიის ცხვრის გამყიდავი უჭველათ იტყვის, მიუცილებლათ უფრო წმინდა მატყლოსანი ცხვარი უნდა გააშენოო და ამისგამო მოგაჩეჩებსთ ხელში ნახევრად გატიტელებულს ცხვარსა ძვირათ. ამისთანა ცხვრები ზამთარშიაც ვერ ძლებენ და ზაფხულის სიცხეც ძნელი ასატანია იმათთვის: თითო ცხვარი კი ოთხ გირვანქა მატყლის მეტს არიძლეეა, მაშინ როდესაც ჩვენი მერინოსის ცხვარი აძლევს რვა და ათ გირვანქა მატყლს. ამასთანავე ჩვენს მერონოს მოელა იმდენი არ ჰჭირდება და ფასი კი ორიე მატყლისა თითქმის ერთია. ძალიან წმინდა მატყლის გაყიდვა ნარდათ უფრო საძნელოა, ვიდრე ჩვენი ცხვარის მატყლისა.

(შემდეგი იქნება).

წ ყ ა ლ ი.

წყალი არის შემდგარი ორის ჰაეროვანი ნიეთისაგან, რომელთაც ეტყვიან საზოგადოთ გაზსა: ერთს ამ გაზს ჰქვია წყალმბადი და მეორეს მჟავმბადი. წყალ-მბადი არის უფერო და უსენო გაზი; არც სუნთქვასა შველის და არც წვასა, მაგრამ თითონ იწვება ცრიატის, ძლივს დასანახაეის ალითა; და თან იმის წვაში კეთდება წყალი. იმაზე დასარწმუნებელად, რომ მართლად წყალი არის შემდგარი ამ ორის გაზისაგან, საკმაო არის აეიღოთ ორი ზომა წყალმბადისა და ერთი ზომა მჟავმბადი და ერთმანერთში გაურიოთ; მერე ეს ნარეევი მიეიტანოთ გახურებულს რკინასთანა და ზედ ცოტათი მიეკაროთ; მაშინ ენახავთ რომ ეს ნარეევი ერთბაშად იფეთქებს და გაკეთდება წყალი. ამ გვარად გაკეთებული წყალი სრულებით არ ერჩეეა ნამდვილს მდინარიდგან ამოღებულს წყალსა და ყოველი თვისებაც იმისი აქვს.

წყალი არის ორ ნაირი: ჰაერისა და მიწისა, მაგრამ სწორედ რომ ესთქვათ ორიე ერთი არის, ამიტომ ერთი მიწის წყლიდგან კეთდება ჰაერის წყალი. მიწის წყალი რომ შრება, მაშინ ორთქლსავით ადის ჰაერში და იქცეეა ხოლმე ჯანღათ, ღრუბლად; მერე მიწაზეეე მოდის ნამად, წვიმად, თქრთვილად, თოვლად და სხ. როგორც ჰაერის წყალი, მიწის წყალი განიყოფება მტკბრად და მლაშედ; პირველი არის წყაროებისა და მდინარეების წყალი, მეორე ზღვებისა და ზოგიერთი ტბებისაც.

როდესაც სამყოფი სითბო არის, მაშინ წყალი არ არის გაყინული; მაგრამ 0° გრადუსში იქცეეა ხოლმე ყინულად. ყოველი სხეული სითბოში დიდდება, მაგრამ წყალს კი როდესაც ოთხი გრადუსი სითბო აქვს მაშინ უფრო ძალიან შეიკუმშება და პატარა ადგილს იჭერს. მერე თუ სითბო კიდეე მოემატა, მაშინ წყალიცა დიდდება, როგორც სხვა სხეული. ბარდა ამისა, ყოველი სხეული 0 გრადუსზე ქვეით იხრუშტებიან და პატარა ალაგს იჭერენ; მაგრამ წყალი კი ამაეე გრადუსში (სიცივეში) ერთბაშად იზდება და უფრო დიდს ადგილს იჭერს. ეს არის იმიტომ, რომ როდესაც წყალი ყინულად იქცეეა, მაშინ შიგ და შიგ ცარიელი ადგილები რჩება, ანუ წყლის ნაწილები ერთი ერთმანერთიდგან იწე-

ვიან. ᲘᲡ არის მიზეზი, რომ პირდაცმული საესე წყლით კოკა რომ გარეთ დარჩეს და გაჰყინოს, მაშინვე გასქდება. ᲘᲡ კიდევ არ არის საკვირველი, რომ თიხის კოკები სქდება წყლის გაყინვისაგან; წყლის ნაწილები გაყინვის დროს ისეთის ძალითა სცილდება ერთმანერთსა, რომ პირდაცმულ სპილენძის კოკაშიაც რომ იდგეს წყალი და გაჰყინოს, სპილენძის კოკაც გასქდება. ᲘᲡ ცარიელი ადგილები ყინვაში არიან მიზეზნი იმისიც, რომ ყინვა უფრო სუბუქია წყალზედა და ამიტომ ჰყინავს წყალი ყოველთვის პირზე იდგებს. Ოროდესაც წყალი იმყოფება ბარად და აწევსა ზედ ჰაერი სამყოფად, ისე როგორც ჩვეულება არის, მაშინ წყალი დუღს 80 გრადუსის სითბოთი (Ռეომურისა); როდესაც ჰაერის სიმძიმე დაკოტაედება, როგორც მთებზედ არის ხოლმე, მაშინ სითბო წყლის ადუღებისათვის ცოტა არის საკმაო. მთაზე წყალი მალე დუღდება, ვიდრე ბარად. Ռადგანაც ერთ ადგილს წყალი ყოველთვის ერთს და იგივე სითბოში დუღდება და ყინდება, ამიტომ იმისი ადუღება და გაყინება არის მიღებული საზომრად სითბოსა. (